

მწყემსი



მე გარ მწყემსი კეთილდღი: მწყემსმან კეთილდღან სული ოფისი
და ჭავჭავის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

გვივე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარულ,
ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილის. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშერალნი და ტვირთ-მძიმენი
და მე განგისვნო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 22

1883—1892

30 ნოემბერს.

რედაქციისაგან.

მიიღება ხელის მოწერა ჟურნალ «მწყემსზე»
რესულის დამატებით. ფასი: «მწყემსი» 1 წლით
5 მანეთი; რუსულის დამატებით 6 მანეთი.

«მწყემსი»-ს ხელის მომწერნი მიიღებენ საჩუქ-
რად ახლად შედგენილს და საექიმო რჩევისაგან
მოწონებულს ვრცელ ქარაბადის, რომელიც ღირს
1 მან. ეს ახლად შედგენილი ქარაბადინი თავისი ში-
ნაარსით ერთიორად მეტია პირებილ გამოცემაზედ.
დაწერილებითი პირობები ჟურნალ „მწყემსზე“
ხელის მოწერისა და შინაარსი კარაბადინისა იქნება
გამოცხადებული შემდეგ №-ში.

ძეგირფასი საჩუქარი ობერ-პროკურორის კ. პ.
შობედონოსცევისაგან «გაბრიელის საქალებო
სასწავლებელს».

23 ნოემბერს მისმა ყოვლად უსამღვდელოესობაში
იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა მიიღო წერილი
მისი მაღალ აღმატებულების უწმ. სინოდის ობერ-
პროკურორის კ. პ. პობედონოსცევისაგან და მასთან
ძეირფასი ხატი მოციქულთა სწორის, საქართველოს
განმანათლებელის წმ. ნინასი. მოგვყავს ზოგიერთი
ადგილი ამ წერილისა.

სიხარულით წავიკითხე მე ჟურნალ «მწყემსი»-ს
უკანასკნელს ნომერში ცნობა შესახებ იქერეტის
ეპარქიალური საქალებო სასწავლებლის გურთ-
ხევისა და გახსნისა, რომელიც შედეგია თქვენი

მეუფების მოღვაწეობისა. მიხარია, რომ დღეიდგან გაისკვნა საფუძველი იმერეთის სამღვდელოების ახალ მოზარდე ქალთა განათლებისა. დმერთმან ჭენას, რომ მაგ სასწავლებლივგან გამოვიდნენ კეთილნი, მორწმუნე და მეოჯახე მეუდლენი და დედები სამღვდელოებისათვის. ვიდებ რა ამ კეთილ საქმეში მხურვალე მონაწილეობას, გიგზავნით, თქვენი მეუფებავ, წმ. ნინას, საქართველოს განმანათლებელის ხატს ახლად დაარსებული სასწავლებლის საჩქრად.

ხატი არის საშუალო ტანის, წმინდა ვერცხლისა მოკერილი და ხელოვნურად მოჭედილი. წმინდა ნინა არია დახარული მთელი ტანით, ხელში უპყრია ჰერგამენტი, რომელზედაც ქართულ-ხუცური ასოებით არის ნაბეჭდი სახარების სიტყვები.

29 ნოემბერს ყოვლად სამღვდელო ბრძანდებოდა მწირველი ქუთაისის საკათედრო ტაძარში. ამ დღეს წარვაზე დაესწრენ რამდენიმე დეპუტატები თავიანთ თავსმჯდომარით. თავის დროზე მღვდელ-მთავარმა წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა. აიღო ამ დღეს წაკითხული სახარების შინაარსი, მშვენიერად განუმარტა ხალხს დღესასწაულების და უქმე დღეების წმიდათ შენახვა და საძაგლი თვისება ხალხთა შურიანობისა. დაწერილებით განმარტა მღვდელ-მთავარმა სამარცვანი საქციელნი მოშურნეთა. «შურს აღძრავს ხშირად ზოგიერთ პირებში, სთქვა მქადაგებელმა, კაცის ამაღლება, კაცის კეთილი სახელი და დიდება. ვერ მიაღწია თავის სურვილს ზოგიერთშა, ვერ დაიმსახურა საზოგადოებაში ისეთი სახელი, როგორიც მისმა მოყვასმა დაიმსახურა. ამისთვის ის, შურით აღვსილი, ათას რამეს უგონებს იმ პირს, რომელზედაც უცელანი ლაპარაკობენ და უველას საქებრათ გამხდარა». ამისთანა შურიანი პირები მსგავსი არიან ფარისეველთა, რომელნიც ისე განთქმულნი იყვნენ იესო ქრისტეს ქვეყნიერად ცხოვრების დროს...

შემდეგ პარაკლისის გათავებისა მღვდელ-მთავარმა აკურთხა ზემოხსენებული ხატი წმ. ნინა ქართველთ-განმანათლებელისა. საკრებულო ტაძრიდამ ეს ხატი წაასვენეს საქალებო სკოლაში. აქ მღვდელ-მთავარმა კათედრის კრებულის და ზოგიერთი დეპუტატების და კრების თავმჯდომარის დეკ. დ. ლამბაშაძის თანა-

მსახურებით შესრულა პარაკლისი ხატის შემწირველის უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის კ. პ. პობედონოსცევის სიმრთელისათვის. პარაკლისის გათავების შემდეგ მათმა მეუფებამ მიიღო ხატი და მსმენელთ განუმარტა ცხოვრება და მოღვაწეობა წმიდა ნინას. აგრეთვე მოკლედ გააგებინა მსმენელთ ბიოგრაფია ხატის შემწირველის კ. პ. პობედონოსცევისა. «ამ დიდი კაცის გამგეობაში არიან ყველა სასწავლებელი მთელი იმპერიისა და მასთან მას დიდი სხვა მოვალეობაც აქვს, ბრძანა მღვდელ-მთავარმა, მაგრამ ჩვენი ახლად დაარსებული სასწავლებელიც არ დაიწყებია მას და აი ეს ხატი გამოგვიგზავნა. ევედრეთ წმიდა ნინას და ლმერითსა, რომ მიერიგოს ამ ხატის შემწირველს სიმრთელე და დღეგრძელობა». ამ მოკლე სიტყვებმა დიდი მთაბეჭდალება მოახდინა ყველა მსმენელებზედ.

რამდენად გონივრული და წესიერია მეგრულს ენაზე ლიტერატურის შექმნა და თარგმნა საღმრთო ლიტერატურის და ლოცვებისა, რომელიც შექმნის დოკუმენტების დოკოდებანვე სრულდება სამეცნიეროში ქართულს ენაზე?

(დასასრულო *).

საოცარი და გაუგებარია ჩვენთვის, თუ რა საჭიროა ახალი ანბანის შედგენა მეგრულს ენაზე, როდესაც ეს სრულებით არაფერ სარგებლობას არ უშვება რუსული ენის გავრცელების საქმეს. ჩვენის აზრით, სრულებით საჭირო არ არის ეიზმაროთ ასეთი ზომები, როდესაც თვითონ მეგრელები ასე მოწადინებული არიან, შეისწავლონ რუსული ენა და ამისთვის არავითარ ღონეს და ნივთიერ საშუალებას არ ზოგვენ და ვან არ იცის, რომ ყოველი ქართველი ბოწადინებულია შეისწავლოს რუსული ენა. მეგრელს, რომელმაც ცოტაოდენი რუსული კი იცის, საქებურად მიაჩნია ამ ენაზე ლაპარაკი თავის

ნაცნობებსა და მევობრებთან. ამასევ ვნიშნავთ სხვა ყველა ქართველებშიაც, რომელთაც კი იციან რუსული ენა, მაგრამ ტებულად ამ ენაზე ლაპარაკობენ. მეტის-მეტი წინ-დაუხედველობა არის მეგრელების ასეთი სურვილი შესასუტოს კაცის ახალი ანბანის და ახალი მწერლობის დაარსებით მეგრულს ენაზე, როცა თვითონ ხალხს არა სურა ეს ანბანი.

შეიძლება სამეგრელოს ზაუპატიფებელი მევობრებს და მეგრულს ენაზე ლიტერატურის დამარსებელთ თავიანთი მეცადინეობის განხორციელებით სურდეს აღმაღლლონ ხალხში სარწმუნოება. და ზნეობა. ამ მხრითაც გამოიყოლით მათი მოქმედება და შევიტყოთ, თუ რამდენათ საფუძვლიანია მათი განზრახეა.

ამას წინეთ ჩენ გვქონდა ბაასი ერთ პატიუცემულ პირთან—უფროსთან მეგრულს ენაზე ლოცვების და ღვთის-მსახურების გადათარგმნის შესახებ. ეს საპატიო პირი თავ-გამოდებით გვიმტკიცებდა, რომ სამეგრელოში იმიტომ არის გარცელებული ქურდობა, კარცა-გლეჯა და სხვა ცუდი საქმეებით, რომ მეგრელები ლოცვებს და ღვთის-მსახურებას ისმენებ მათგან გაუგებარ ენაზე. იგივე პირი გვიმტკიცებდა, რომ ქრისტეს სარწმუნოება, ქრისტეს მოძღვრება, ქრისტიანობრივი ზნეობა მხოლოდ იქ ფუძნდება და ღრმად იდგამს ფეხვებს, სადაც ხალხი თავის სამ-შობლო ენაზე კითხულობს ლოცვებს და ღვთის-მსახურებასთ. ამ უკანასკნელ მოსახურებას ჩენ სარულიად ვეთანხმებით, და რაც შეეხება პირველ მოსაზრებას, ჩენ არ შევეიძლია ამაში დაეკთანხმოთ ამ პატიუცემულ პირს. არ გვჯერა, რომ მარტო ლოცვების და ღვთის-მსახურების მეგრულ-ენაზე მოსმენაშ მოსპოს ხალხში ქურდობა და ყოველივე ავაზაკობა.

რუსეთის იმპერიის მრავალს ადგილს ლოცვებს და ღვთის-მსახურებას ისმენებ დედა-ენაზე, მაგრავ ზემოთ აღნიშნული არა სასურველი მოვლენანი ყველგან არსებობენ. დასავლეთის ეკროპის სახელ-მწიფოებში ღვთის-მსახურება სრულდება ლათინურს ენაზე, რომელიც უმეტესობისათვის გაუგებარია, მაგრამ ამ სახელმწიფოებში ქურდობა, კაცის-კვლა კარცა-გლეჯა ძლიერ იშვიათი მოვლენაა. მეგრულს ენაზე ლოცვების და ღვთის-მსახურების შესრულება.

ჩენის აზრით, სრულიადაც ვერ მოსპობს სამეგრელოში კარცა-გლეჯას, ცხენის პარეას და სხვა ცუდ-მოქმედებას. ამ სამწუხარო მოვლენათა მიზეზები სულ სხვაა, მაგრამ ჩენ აქ მათ გამოკვლევას ვერ შეუდგებით და ეს არც ჩენი ეურნალის დანიშნულებას შეადგენს.

უველამ იცის, რომ ამ ორმოცი წლის წინად ზოგიერთმა ვაჟ-ბატონებმა განიზრახეს თავის გამოჩენა და შეუღნენ ქართული ენიდვან მეგრულს ენაზე ლოცვების და ღვთის-მსახურების გადათარგმნას. მათ კიდეც სურად ზოგიერთ ეკკლესიებში ღვთის-მსახურების შესრულება მეგრულს ენაზე. მაგრამ მლოცველები წყვევა-კრულვით სტოებლნენ ტაძრებს, გარბოდენ ეკკლესიებიდვან და ლანძღვა-გინებით ისხენიებდნენ მეგრულს ენაზე ლოცვების და ღვთის-მსახურების მთარგმნელთ.

რატომ დაურჩა მეგრელებს საწყენად მეგრულს ენაზე ლოცვების და ღვთის-მსახურების თარგმნა, თუ მართლა უცნობი ენის მაგიერ, მათ გასაგებ ენაზე უთარგმნეს ლოცვები და ღვთის-მსახურება? იმიტომ, რომ მეგრულს ენაზე არც ერთი ლოცვის და ღვთის-მსახურების თარგმნა არ შეიძლება ქართული სიტყვების უხმარებლად. თარგმანი გამოვიდა სასაკილო, ორ-ჰამამისანი და სრულებით არ შეესაბამებოდა ღვთის-მსახურების ენას, რომელიც ეკკლესიაში იხმარება. ეს ცხადათ ამტკიცებს, რომ მეგრულს ენაზე ლოცვების და ღვთის-მსახურების თარგმნა არაფითარ სარგებლობას არ მოიტანს არც სარწმუნოებრივ-ზნეობითი მხრით.

ჩენ ამ საგნის შესახებ იმიტომ კი არ გვაგრძელეთ საუბარი მეთხველთან, თოთქოს მფარველობას უწევდეთ ქართულს ენას, ან იმის გვეშინდეს, რომ თუ მეგრელებმა მეგრულს ენაზე დაარსეს ლიტერატურა, მაშინ დაიღუპება ქართული ენა, არც იმიტომ, რომ პასუხი გაესცეთ იმ ზოგიერთ ვაჟ-ბატონებს, რომელთაც სურსთ წმ. კირილებად გახდენ და მათგან დაუგიშუარნი დაშონენ ხალხში. არა, ეს სრულებით არ შეადგენს ჩენი ეურნალებას.

ლის დანიშნულებას; ჩვენი ყურადღება მიქცე-
ულია სხვა საგანზე. ვშიშობთ, რომ ამ ბა-
ტონებმა თავიანთი მოღვაწეობით არ შეარყიონ
ქრისტეს სარწმუნოება და ხალხში არ გაერცელდეს
შევალებლობა, რომელიც სრულებით არ არსე-
ბულა ჯერეთ ჩვენში. ზოგიერთ ჩვენს მასწავ-
ლებლებს, სარწმუნოების და ლოთის-მსახურებაში
სხვა და სხვა ცელიალებათა მოხდენა ისეთივე საად-
ვილო საქმედ მარჩიათ, როგორც რომელიმე სახელ-
მძღვანელოს მიღება, ანუ უარ ყოფა. ამ ბატონები-
სათვის სარწმუნოება უცნობი საგანია, და მეტის
მოთხოვნა მათგან არც კი შეიძლება. ან კი როგორ
უნდა მოქსოვოთ კაცს ის, რაც მას არა აქვს!!

სლავიანური ენა ძლიერ დახლოვებულია რუ-
სულ ენასთან. ამას წინედ რუსეთშიაც განიზრახეს
ლოთის-მსახურების რუსულს ენაზე შესრულება. მაგ-
რამ ვერ მოახერხეს და ვერც გაბედეს ამის მოხდენა.
ენაც კარგად უწეოს რუსეთის ისტორია, ალბათ ისაც
რცის, თუ რამ გამოიწვა რუსეთში მშევალებლობა და
სხვა-და-სხვა სეკურიტეტი. ჩვენი საქართველოს ეკულე-
სია, ლოთის მოწყალებით, დაფარულია ყოველივე
მშევალებლობა-საგან დღიდვან მისი დაარსებისა ამ XVII
საუკუნის განმავლობაში. ზოგიერთები, რასაკვარვე-
ლია, არა ქართველთაგანი, ამ მოელენას იმით ხსნი-
ან, თითქო საქართველოს ხალხი გულგრილად უცე-
რიდეს სარწმუნოებას და ეკულესიურ საქმეებს. ვნა-
ხათ, მართალია ამისთანა მოსაზრება თუ არა? ერთ
ტრაველა მიწას ვერ ნახავ საქართველოში, რომე-
ლიც მორწყული არ იყოს ქართველების სისხლით,
რომელთაც თავის სიცოცხლე შესწირეს, რომ ქრის-
ტიანობა დაეფარათ სპარსელებისა და მოსლემანთაგან.
რამდენჯერ დაწვეს და ააოხეს საქართველო, რა-
ნიარ დევნას არ ითმენდენ ქართველები სპარსთა
და მოსლემანთაგან, რომელთაც სურათ აღმოვევ-
სათ ქრისტიანობა საქართველოში; მაგრამ ქართვე-
ლებმა არ უარჰყეს ქრისტიანობა და არ მიიღეს მაჲ-
მადის სარწმუნოება. არც ერთ ეკულესიას არა ჰყავს
იმდენი მოწამენი სარწმუნოებისათვის, რამდენიც ჰყავს
საქართველოს ეკულესიას. მოუხედავად მასა, რომ
15 საუკუნის განმავლობაში საქართველო ებრძოდა
ისლამის თავიანის მცემელთ, იგი თითოეული ამხ-
რების შედევ ხელახლად ახლდებოდა. არც ერთ მხარეს
და სახელმწიფოს არა აქვს იმდენი შესანიშნავი, ძვე-
ლი ნაშთები ქრისტიანობისა, რამდენსაც ჩვენ ვხედავთ

საქართველოში. ამას გარდა, საქართველოს გარდა
ქართველთა ნაშთებს ვხედავთ ათონში, იერუსალიმ-
ში, ანტიოქიაში და სინას მთაზე. განა ყოველივე ეს
არ ამტკაცებს, რომ ქართველები გულგრილად კი
არ ეკიდებოდენ სარწმუნოებას და ეკულესიურ საქ-
მეებს, არამედ თავგამოდებით იცავდენ სარწმუნოებას
ქრისტიანობის ყოველივე მტერთაგან?

მაგრამ სამწუხაროდ ეხლა გამოჩნდნენ ახალი
რიგის და წესის დამარსებელნი პირი, რომელთაც
თავიანთი უაზრო და მოუფიქრებელი მოქმედებით
მშეუძლიათ მშევალებლობა გაერცელონ ჩვენში. ვინ
არიან ეს ვაჟა-ტონები, ვინ მისცა მათ უფლება,
რომ მეგრულს ენაზე თარგმნონ ლოცვები და ლოთი-
მსახურების წიგნები? ნუ თუ ნება უნდა ჰქონდეს
სახალხო სკოლების ვიღაცა მასწავლებლებს, რო-
მელთაც ძლიერ-ძლიობით მიუღიათ ცურაოდენი განა-
თლება, თარგმნონ ლოცვები და ამ თარგმანის შემ-
წერილით ასწავლონ საღმრთო სჯული სახალხო სკო-
ლებში!

მოელს რუსეთის იმპერიაში აჩებობს მხოლოდ
ერთი დაწესებულება — უწ. სინოდი, რომელიც ვა-
ნაგებს სარწმუნოების და ეკულესიურ საქმეებს. გარდა
ამ დაწესებულებისა, არავის არა აქვს უფლება რამე
ცვლილება მოახდინოს სარწმუნოების და ლოთი-
მსახურების საქმეებში. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ
უწ. სინოდში არ მომდინარე განკარგულება, რათა
მეგრულს ენაზე თარგმნონ ლოცვები და ამავე ენა-
ზედ ასწავლონ საღმრთო სჯული. ჩვენს საქართვე-
ლოში, საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდ-
გან არსებობს უწ. სინოდის განყოფილება — საქართ-
ველო-იმერეთის კანტორა, რომელიც აგრეთვე განა-
ვებს სარწმუნოების და ეკულე იურ საქმეება. მაგრამ,
რამდენათაც ჩვენ გვასწორეს, ამ საკნის შესხედ აკუ-
სინოდის კანტორაში ყოფილა არაეითარიმე მსჯელო-
ბა, და ვის აქვს უფლება, აღძრას ამისთანა კითხვები
და კადეც შეუზღეს მათ განხორციელებას იმ უმაღ-
ლესი დაწესებულების ნება-დაურთველად, რომელიც
განავებს მოელს სახელმწიფოში სარწმუნოების და
ეკულესიურ საქმეებს?

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ საგანს ყუ-
რადღებას მიაქცევს, როგორც სახულიერო ეურიალ-
გაზეთები, ისე საერთო.

დევ. დ. დამბაშვილ.



შედაგოგის ისტორიდვები

ბავშვთა ადგიდა საბერძნეთში.

საბერძნეთის ისტორიის ძველს ხანებში ბავშვების აღზრდას ჰქონდა მარტივი, პრაქტიკული ხასიათი. აღზრდას მიზნად ჰქონდა მოექა ქვეყნისთვის ღონისერი და პატიოსანი მამულის შვილები. ასწავლიდნენ ბავშვებს მუზიკას და სიმღერებს, რომლებშიც გამოხატული იყო ქება და ღილება ღმერთებისა და გმირებისა. წერა-კითხვის სწავლება არ არსებობდა. ქალების აღზრდას არავითარს ყურადღებას არ აქციერდნენ. როდესაც განცალკევებული ტომები ბერძნთა შეკავშირდნენ, საბერძნეთში დარჩეს რა რი სახელმწიფო: სპარტელებისა და ათინელებისა. თითოეულს ამ სახელმწიფოთაგანს ჰქონდა თვისი განსაკუთრებული ხაითი, ვანსხვავებული მიმართულება. სპარტელებს უყვარდათ წარსული, ძველი ჩვეულებანი, ძველი წყობილება ცხოვრებისა და ახალ მოვლენათა თვალყურს არიდებდნენ. სპარტაში იყო განვითარებული ბატონობა უმაღლესის წილებისა. ათინელებს კი უყვარდათ წინ-სელა, წარმატება, ახალი მოვლენანი და ცვლილებანი. ათინში არსებობდა სრული თანამდებობა ხალხისა. ამის წყალობით ათინელებმა მიაღწიეს უმაღლესს წერტილს განვითარებისას და მოსცეს კაცობრიობას შესარიშნავი მოღვაწები: სოკრატი, პლატონი, არისტოტელი... და სხვანი.

ბავშვთა აღზრდაც სპარტელებისა და ათინელებისა სხვა-და-სხვა ნაირი იყო, თან ხმად თითოეულის მათგანის ხასიათისა და მიმართულებისა,

სინამდებარება. სპარტაში ვ წილება არსებობდა. 1-ი წილება, რომელსაც «სპარტატები» შეადგენდნენ, ბატონობდა დანარჩენს ორს წილებაზე: «პერიე-კებზედ» და «ილოტებზედ» სახელმწიფო ღილებს ყურადღებას აქციებდა «სპარტატების» შეინარჩუნების აღზრდას; ხოლო ორი დანარჩენი წილების შეინარჩუნების კი მოკლებული იყენენ სწავლა-განათლებასა. ამათი დანიშნულება იყო შეესწავლათ ხენა-თესვა და სხვა-და-სხვა ხელობანი, რომ თავის ნაკირნახულევით ესაზრდოვებიათ «სპარტატები», რომელთ მოვალეობას მტერთაგან ქვეყნის დაცვა შეადგენდა. სახელმ-

წიფოს დაცვისთვის საჭირო იყვნენ მხედე, ჯაშმრთელი მოქალაქეები. ამიტომ სპარტაში აღზრდას ჰქონდა მიზნად ასეთი მოქალაქეები მოეცა სახელმწიფოსთვის. არსად ფიზიკურს აღზრდას ისე არ აქციერდნენ ყურადღებას, როგორც სპარტაში. დისახლისებს სპარტაში დიდი პატივის სცემდენ. ქორწინებით შეულლის ნება ჰქონდათ მიცემული მხოლოდ ჯანმრთელს კაცა და ქალსა, ეინადგან მათ შეეძლოთ მოეცათ ქვეყნისთვის ჯანმრთელი მოქალაქეები. ფეხ-მძიმე ქალის ოთახში ჰყილებლნენ გმირი კაცების სურათებსა, რომ ამ სურათების ცეკვით მიღებული შთაბეჭდილება დედას გადაეცა საშოში მყოფი ბავშვისთვის. ბავშვს დაბადებისთანავე ღვიძლის დაბანდნენ იმ აზრით, რომ სუსტი ბავშვი ვერ აიტანდა ასეთს დაბანვას და მოკვდებოდა. ახლად შობილის ბავშვის ჯანმრთელობის გასაშინჯად იყენენ დაწესებული განსაკუთრებული მსაჯული, რომელთ ხელში იყო მისი ბედ-ილბალი. სუსტს ბავშვს ამ მსაჯულთა განკარგულებით ავდებლნენ ერთი მთის (ტაიგეტის) წვერიდგან ჯურამულში. ბავშვს ჩერებში არ ახვევდნენ, რომ მისი სხეულის ნაწილები უფრო თავისუფლად განვითარებულიყენენ. მას ოჯახშივე აჩვენდნენ სიბანელის, სიცხის, შიმშილის და წყურვილის ატანას, რაც ასე საჭიროა შეეღრისთვის.

შეიძის წლის ბავშვი შედიოდა სკოლაში და ეკუთვნიდა ამის შემდეგ სახელმწიფოსა. წეს-წყობილება სპარტანულს სკოლაში მეტის-მეტი სასტიკი იყო და მიზნად ჰქონდა აღზრდა მტკიცე, გაუტეხელი ხასიათის მქონებელი პირები. შაგირდები ქვეშავება უმარობლნენ ლერწმის ღეროებს, რომელიც თვითონვე უნდა მოეგროვებიათ მდინარის ნაპირებზედ. ტანისამოსი ეცვათ უბრალო და ერთნაირი ზამთარ-ზაფხულ; 12 წლამდის ფეხ-შიშვლები იარებოდნენ; ყოველს ღილებ მდინარეში ბანაობლნენ. სკოლაში აჩვენდნენ ტკიფილის, სიცხის, სიცივის, შიმშილის და წყურვილის აუანას; არტემილის ტაძარში შაგირდებს ხშირად მათრახებით სცემდნენ შეუბრალებლად; იმათ არ ჰქონდათ ნება ხმა ამოედოთ ტკიფილს გრძნობის გამოსაცხადებლად. სკოლაში აჩვენდნენ სიმარტეს, ხერხიანობას, ეშმაკობას; ასწავლიდნენ გიმნასტიკურ მოძრაობათა და სამხედრო ხელოვნებასა. ასწავლიდნენ აგრეთვე სიმღერას და მუზიკას, რომელთაც სპარტანელთ აზრით შეეძლოთ აღეძრათ ბავშვების გულში კეთილ-

შობილური გრძნობები და გაერტყიცებიათ სიყვარული მამულისა.

წერა-კითხების შესწავლა სპარტაში საეალტებულო არ იყო. სპარტაში ძლიერ ზრუნავლენ ქალების აღზრდაზედ, რომელთ დანიშნულება იყო მოეცათ ქვეყნისთვის ჯანმრთელი მამულისშეიღები. იქ სცდილობლენ აღზრდათ არა ნაზი, არამედ ჯანმრთელი ქალები, მტკიცენი როგორც სულით, აგრეთვე სხეულითა. მართლაც, სპარტას ჰყავდა მრავალი ღირსეული დედები, რომელიც შეიღებს ჩაგონებლენ სიმაცეს და თავაწირულებას მამულის დასაცველად.

— ესრედ სპარტანელთ აღზრდა კაცს აძლევდა შტკიცე ხასიათს, სხეულის სიმრთელეს და მოღვაწეობის სიყვარულსა. სუსტი მხარე ამ აღზრდისა იმაში მდგომარეობს, რომ არავითარს ყურადღებას არ აქცევდა ბავშვის გონებითს განვითარებას.

„ლ. ფერაძე.“

(შემდგა იქნება).

წიგნთ-საცავების საჭიროება.

შორაპნის საბლალობინო მაზრაში სამრევლო სკოლების რიცხვი ყოველს წლობით მატულობს. დღემდის ამ მაზრაში ითვლებოდა 13 სკოლა და ამ მოკლეს დროში, როგორც ისმის, გაიხსნება ორიც. ამ მაზრაში თითქმის ყველა სკოლები აღვილობითი მღედლების საშუალებით არიან დაარსებული და მათი კაცი ხარჯით ინახებიან. ძალიან სასიამოენოა ეს მოვლენა. სასიამოენოა აგრეთვე ისიც, რომ ჩეენი ხალხი ისე გულგრილად აღარ უყურებს სკოლას, როგორც ამ 10—12 წლის წინად; სკოლის მნიშვნელობა ყველაზ შეიგნო, ყველა გზანის სამრევლო სკოლაში შეიღებს სასწავლებლად...

დიახ, სასიამოენო სკოლების გამრავლება ჩეენს მაზრაში, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ეს სკოლები თავის დანიშნულებას, თავის მიზანს ერ ასრულებენ როგორც სასურველია. ესთქვათ, 3 წელიწადი ბავშვი დაიარება სამრევლო სკოლაში, ყველა-

ფერი კარგად შეისწავლა: წერა-კითხეა, საღმრთო ჯული, თელა და სხვა... მერე რა მნიშვნელობა აქვს ამ ცოდნას? ბავშვი გამოდის სკოლიდან, ცხოვრებაში მას ყველა-ფერი ავიწყდება და ბოლოს ჩეება ისეთივე უკიცი, როგორიც იყო მამა-პაპა მისი არა მცოდნე წერა-კითხებია.

ეინ არ იცის, რომ ჭიუა-გონების განვითარებისათვის საჭიროა გარჯიშობა წერა-კითხებიში!. ვინ არ იცის რა აუცილებელი საჭიროება სკოლებთან წიგნთ-საცავების დარჩება, სიცდანაც კურს-დამთავრებულებს უნდა ეძლეოდეს საკითხებად წიგნაკები და ამით ეძლეოდეს მათ სულიერი საზრდო!... 1)

რუსეთში, თითქმის ყველა ეკვლებისგან არის ამგეარი წიგნთ-საცავები, რის შემწეობით სწავლა-განათლება ვრცელდება მდაბიო ხალხში. ნუ თუ შეუძლებელია ჩეენში ამგეარი ბიბლიოთეკების დარსება?... 2)

სკოლის წენობისათვის ჩეენი მღედლი 10—20 თუმნამდე ხარჯას და ამდენ ფულთან რა სათმელია 3—5 მანეთი ყოველს წლობით იმისათვის, რომ ამ სკოლასთან ბიბლიოთეკაც იყოს. ჩეენი ხალხი ამ საქველ-მოქმედო საქმეს ისე გულგრილად არ შეხდავს, როგორც ვფიქრობთ. გაზ. «მწყემსი»-ს თითქმის ყოველს №-ში არის გამოცხადებული, რომ ამა და ამ კაცმა ამდენი და ამდენი შესწირა ამ საქმისათვისათ. ჩეენი ხალხი თან და თან შეეხეა სხვა-და-სხვა შეწირულებას. იმედი უნდა ეიქონიოთ, რომ, თუ მღედლი შოინდომებს მის შეირ დაარსებულ სკოლასთან ბიბლიოთეკის დაარსებასაც, ყოველს წლობით ამ საგნისათვის მოიკლებს 3—5 მანეთს, მრევლიც დაეხმარება მას, მით უმეტეს, რომ ეს ბიბლიოთეკები მათის შეიღებისათვის სასაჩვებლო იქნება.

დიახ, მონლომაა საჭირო, თორემ ბიბლიოთეკების დაარსება ადეილი საქმეა. თუ ბევრს არა 40-ე წიგნაკების მარც ვიშვეთ ჯერ-ჯერობით ბიბლიოთეკისათვის. თუ ასე არ მოხდა, რა მნიშვნელობა უნდა ექმნეს ჩეენს სკოლებს, თუ ხეალ ბავშვი ივიწყებს მას, რასაც დღეს ისწავლის სკოლაში!. 3)

მღვ. თომა ლუგლაძე.

1) უველავ იცის და მართებლობამაც მისცა ნება მღვდლებს პაციანა წიგნაკების ყიდვისა ეპალესის ფულით ხალხის საკონსავად, მაგრამ მღვდლებმა არ შეიგონეს, არ დაეძის.

2) ძლიერ საადგილოა, მაგრამ ჩეენში ყოველი საადგილო საქმე მანც საძნელო საქმედ მიაჩნიათ.

3) რასაკვრცელია დავიწყებული სწავლა ერთ კოტრა არ ღისას. დავიწყეთ და მაგალითი აზენეთ სხვა მომენტს და შემდეგ სწვები წაბაძვენ თქვენს საქმეს.

რედაქტ.

კიდევ სადმელის საზოგადოების სკოლების შესახებ.

ამა წლის გაზ. «მწყემსი»-ს მე-10 ნომერში ნაოქეამი იყო, რომ სადმელის საზოგადოებას ძალას ატანს პოლიცია, რათა საზოგადოებამ ახალი შენობა ააგოს სახალხო სკოლისათვისო. ეს გარ ზორავა პოლიციისა საქმით შესრულდა, თუმცა საზოგადოებას ძრიელ გაუქნელდა ამ შენობის ავება. დღეს სასოფლო კანცელარიის გვერდით მშენიერი ხას შენობაა სკოლისა და მასთან 2 ოთახი და 1 სამსახულო მასწავლებლისათვის. გვევონა, რომ 2 სამსახულო სკოლის გახსნა ამ საზოგადოებაში მეტად შეამცირებდა ყმაწვილების რიცხვს, მაგრამ, როგორც ჯერ ეხედავთ, კარგა ძალი ყმაწვილები დაირჩიან ამ სკოლაში და მასწავლებელიც უფრო მუყაითად ეყიდება სკოლის საქმეს, ვინემ წინედ. ბოსტანის სკოლის შესახებაც იყო ნათელამი იმა ნომერში, რომ ის ძალა იქნება შესრულებული და სწავლა დაწყებულითქვა. 1 ოქტომბერს აკურთხეს ეს სკოლა. სკოლის კურთხევას დაესწრო მრავალი კაცი და ქალი და სკოლაში შესაყვანი ყმაწვილები. ვ იქტომბერს აკურთხეს სადმელის სახალხო სკოლა. კურთხევაზე დაესწრო პოლიციის ბოჭაული, აღვილობითი მამასახლისი და ყმაწვილების მამები. სკოლის კურთხევის შემდევ მასწავლებელმა კერძესელიდემ აუხსნა ყმაწვილების მშობლებს სწავლის სარგებლობა. ამ სკოლაში სწავლობს თუთხმეტამდე მოწაფე ქალი და ვაჟი და ბოსტანის სკოლაში 19 ვაჟი და 15 ქალი.

ამ სახით დღეს სადმელის საზოგადოებაში არის 3 სკოლა, 2 სამსახულო და 1 სახალხო. სახალხო სკოლების საქმე ჩეენ რაჭაში კარგად მიღის. გასაკირველიც არ არის, რაღაც სახალხო სკოლებისთვის მეტად ზრუნავს ის, კინიც რიგია მათი წარმატებისათვის ზრუნვა ჯერ გათავებული არ იყო სადმელის სახალხო სკოლის შენობა, რომ იქაუმა მასწავლებელმა მიიღო ბ. ლირექტორისაგან 2 დავა კლასისა, 1 დიდი შეაფი, მასწავლებლისთვის 1 სტოლი, სკამი და ყმაწვილებისთვის სტოლები და სკამები.

მდგ. ა. შ—ძ.

«მწყემსი»-ს კორრესპონდენცია

სიღნაღის მაზრიდამ.

სოფელ ვაქირში არის ერთი მშენიერი ეკულებისა იოანნე ნათლის-მცემლისა. ეს ტაძარი განსაკუთრებითი ყურადღების ღირსა როგორც იშვიათი სივრცისა და აგებულობის ტაძარი თითქმის მთელს ჩეენს სიღნაღის მაზრაში. როგორც შინაგანი და გარევანი მოყვანილ-მაწყობილობა გვიჩვენებს, ეს ეკულების ძველის ღროვას უნდა იყოს. ამ ტაძრის მხატვრობა ცადათ ამტკიცებს, რომ იგი რამოდენიმეჯერ განუხლებით და განახლების ღროვას ბევრ ნაირათ შეუცვლით და შესწორებით ეკულების მხატვრობა მხატვრობათაგან გადარჩენილა მხოლოდ ერთად ერთი ხატი პატარა სანაწილეთი, სადაც ინახებოდა, როგორც ამპობენ მნახველები, წმინდა ნაწილები და ძვლები წმინდანისა და ეს ნაშთიც შარშან უყურადღებობისა გამო სანთლით დაუწევით. ეს შესანიშავი ძველი ნაშთი თან-და-თან ირლვევა და იქცევა. სეირიანი სახურავის უძექონლობისა გამო ტაძარში წყალი ჩადის, რის გამო კედლების მხატვრობა სრულიად იშლება. თუმცა დღითა დღე ზიანდება და იქცევა ეს მშენიერი ძველი ეკულებისა, რომლის ასაგებად ჩეენს მამა-პაპათ არ დაუზოგრათ არც ფული და არც შრომა, მაგრამ დღეს მას ყურს არავინ უგდებს, თუმცა ამ ეკულების შეკეთება ძრიელ აღვილიც იყო, რადგან ამ ეკულებისა საძრევლოს უშენებენ, რომელზედაც 300 მანეთამდე ისარჯება. ამ ეკულების დალოცვილნი გამგებელი სამას თუმნიანს სამრეკლოს აკეთებენ და თვით უპირატესს და უყურა დიდ ყურადღების ღირსა — თვით ეკულების კი, რომელსაც ვერც არი ათას თუმშით ააგდენ, უყურადღებობით აქცივენ და ანგრევენ. ამ წელს რაღაც ხე-ტყით ისე აუსათ ამოდენა ეკულებისა, რომ ღიღს დღესასწაულებში ხალხი გარეთ სდგას, რადგან შეგ ტაძარში აღარ არის ადგილი და ამით მლოცველი მოკლებულნი არიან მოისმინონ წირვა-ლოცუა. აქ ერთხმა შლვფელმა აღდგომის დღეს დაასაფლავა მიცალებული. ღვდლის ასეთმა მოქმედებამ გამოიწვია ხედა ზოგიერთ მწყემსთა შორისს. ზოგი მათგანი ამტკიცებენ, რომ აღდგომის დღეს შეიძლება დაასაფლავება მიცალებულის მხოლოდ შეუძლის შემდეგ, ზოგი კი სრულიად უარს ჰყოფენ ამ აზრს და ამბობენ: ყოვლად შეუძლებელია ამ დღეს მიცალებულის დასაფლავებაო. *)

XX.

*) ვერთხვანში კარგად არის განმარტებული, თუ როგორ უნდა აღსრულდეს დასაფლავების წესი გარდა ცვალებულებებს და უპელა ამ წესისამებრ უნდა მოიცეს.

რედაქტ.

საბოლოო ინტერვიუ თ. გ. გ. გ. გ. გ. გ.

საისტროით მასალა.

(გუგუბე).

ქ: სახელითა. სახიერისა. არსება. დაუსაბამოსა. ერთისა. მღვითისა. მღვითისა: მამისა. ღვთისა: ძისა. ღვთისა. სულისა. წმინდისა. ორის: ბუნებით. სრულს. ერთარსებით. განუკითხელს. ღმერთსა. (ღვთისა?) თავდებობით. და. შუამდგომელობითა. ყოვლად. წმინდისა. უფროსად. კურთხეულისა: დელოფლისა. ჩვენისა. მღვითისმშობელისა. მარადის. ქალწულისა. მარიამისათა. თავდებობითა. მინდობითა. და. შუამდგომელობითა. და. უფალმან. ჩვენმან. რომელს: ზედა. განიპყრინა. უხრწელნი. მკლავნი. თვისნი. ჯვარს. ზედა. ამათისა. თავდებობითა. მინდობითა. და. შუამდგომელობითა. ზეცის. ძალთა. ერის. მთავართა. მიქელ. და. გაბრიელ. მთავარ. ანგელოზისათა. სხვათა. ზეცის. ძალთა. მთავარ. ანგელოზთა. ამათის. თავდებობითა. მინდობითა. და. შუამდგომელობითა. რანიცა. წმინდას. სეინაქსარსა. შინა. დღივი და დამ. მოიხსენებიან. მათისა. თავდებობითა. მინდობითა. და. შუამდგომელობითა. ესე (?) ამიტიდ. გან. უკუნისამდე. ხმლდ (?) გასმცებელ (?) .

მტკუცედ. შეუცალებელ. სიგელ. და საფუცარ. და. წყალობას. წიგნი. დაგრწერეთ. და გიბოძეთ. ჩვენ. ღვთიერებით. კურთხევით. გვირგვინოსანმან. იესიან. დავითიან. სოლომონიან. პანკრატიულმან. მელემან. პატრონმან. თქვენმან. სოლომიონ. და თანა. მეტცენტრემან. ჩვენმან. დადიანის. ასულმან. ბატონმან. დელოფლმან. მარიამ. ძამან. ჩვენმან. გერა. თელმან. ბატონიშვილმან. იოსებ. ბაგრატ. არჩილ. და გორგიმ. თქვენ. აბაშიძეს. ზალს. თქვენს. ძმისწულს. ზურაბს. ვახუშტის. (?) გიორგის და. მილ. აბარის (?) შვილთა. თქვენთა. იოვანეს. და. სერმონს. სქესთა. (?) შენთა. და. მომავალთა. თქვენთა. ასე. რომე. ძელთაგანაც. წყალობათ. ქქონდათ. ჩვენგან. ახლა. წართმეულ. ქქონდათ. და ხელ. ახლა. ჩვენ. გვიბოძებია, საიმერლო: (?) არს... (ორი ასო ზის ცალკე, ერ გავარჩიეთ). მთას. გადმოლმა. ზეარე. ძვები, და ბაბი(?) აზნაურიშვილი... (ერ გავარჩიეთ თარი სიტყვა)... მიწით. წყლით. მონასტრით. მთით. და. ბარით. საძებრათ. (?) და. უძებრათ. (?) შესვლათ. და გასყლათ. მოგცეს. და. გიბელნიეროს. ღმერთმან.

ჩვენს. ერთგულათ. მყოფობაში. თუ. შენ. ჩვენი. ერთგული. იყოთ. არას. ოდეს. ის. ჩვენი. წყალობა. არ. მოგვშალოსთ. ვინცა. და. რამაც. კაცმა. ეს. ჩვენი. ნაბოძები. წიგნი. მოგვშალოსთ. მასმცა. რისხას. თავათ. ღმერთი. ყოველნი. მისი. წმინდანი. ზეცისანი. და ქვეყანისანი. ხორციელნი. და უხოლო. კაცაგან. მისი. მოწამე. სახლოთხუცესი როსტომ. ჯაფარიძე. აბაზიძე. ბერი. წერეთელი. ქაიხოსრო. ავიაშეილი. ქაიხოსრო. მაჭავარიანი. ქაიხოსრო. წერეთელი. სეიმონ. ამირან. მესხი. მე. დავთ. მდინარეს დამწერია. მოწმეცა. ვარ. დაიწერა. სეკურიტეტის. თ. ქრისტეს აქეთ ჩლმნდ (sic) ქორონიკონი: შმა:

ბეჭედი: მონა მღვითისა ყმა ხონთქრისა მეფე სოლომონ.

ქ: ბატონიშვილის იულონის კეთილ სახსოვარო მდინარო. სეიმონ. მერე მაგ ქვაურილელმა მღვდელმა რომ მოგვატყუა. ჩემთან საქმე არავის აქესო. ეგბატონის ნასყიდი ყოფილა და ქვაურილში დაუსახლებია. მავისი მანდ გრემის ნაქალაქევში დკომა არ იქნება. ეს ოქრომჭედლიშვილი დავით იასულით. გამოგვიგზავნია. ეგ მღვდელი ახლავ ამას მოაბარეთ. აჟარის და იქავ ქვაურილში. გადიყვანოს. და ქვაურილში. დაყენოს. მაგ მღვდელის ქვაურილიდამ. წასვლა. არსად იქნება. თუ ან ქვეერი გადმოეტანოს. ან ვაზი. ყველა უკლებად. იქავ უნდა გადაიტანოს. ერისლის ნაცეალო. შენც ამ იასულის ქომავი უნდა იქო. და ეგ მღვდელი. თეის ცოლ მეტელით. და მებით ახლავ. ქვაურილში. გადაიყვანოთ. და ქვაურილის ნაცეალს. მიაბაროთ.

ბეჭედი: ტოშისქესით არნაელისაგან იულონი ირაჟილისაგან.

ქ. ენისლის ნაცეალო. როგორც ბატონისშეიღლის ბრძანება იყოს ასე აღუსრულე ახლავ. აპრილის ლ. ქ: უომე.

ბეჭედი: მონა ღვთისა სეიმონ--შეაში სიტყვა ერ გავარჩიეთ; უნდა იყოს «მღვდელი».

ქ. ჩვენ მაგიტად ყოელად სამღვდელოს ნეკრესელ ეპისკოპოზს ღოსითეოზს ასე ეუწყოს. მერმე ჩვენ რომ მანდ ერავით და ქვაურილელთ მანდ მამული დავანებეთო. და ნიშანი დაუდევთ, თქვენც

რომ მანდ იმყოფებოდით. ახლა თქვენ უნდა ჩამოხ-
ვიდეთ და ევ მამული ოცს კომის გაცხედ უნდა
გაყოთ: და თავთავისთვის უნდა გაუმიჯნოთ და და-
ნებოთ იოანნე ქეჩირქიბაშიც თქვენთან იქნება. მარ-
ტის 18 ქს. უდღე.

ბეჭედი ირაკლი მეორისა.

ქ. ღმერთმან ბეჭედერის ხელმწიფის ჭირი მომ-
ცეს ვანე აბაშიძეს. მერმე ამას მოგახსენებ. ჩემო
ხელმწიფევ. თქვენს სიმალეს მოეხსენება, რომ
ქაურილის აშენება თქვენ ინებეთ. და არც მითხოვ-
ნია და თქვენ მიბოძეთ. რაც თქვენი ნება იყო ის
იმ კაც საერთაშეო და სასახლეთ უბოძეთ. ფლატე
რომ არის ალაზნის მხარეს, საკალოეთ და საბძლიათ
უბოძეთ ძეველს საყდრისკენ. და ახლა ის წაგვართვებს
ნოდარიანთ. მოგახსენეთ. ოქმიც გვიბოძეთ და მა-
ინც არ დაგვანებეს. ახლა ზედ კარზედ მოგვინა
გიორგი ნოდარიშეილმა. მე შეუთვალე ეს ჩვენია
არ უნდა მოგვინათ მობძანლით აქ და გავშველდეთ.
თუ არა და ბატონს მოვახსენოთ და ისე გავშველ-
დეთ. ისინი მეორეს დღეს მოგვინდნენ დიღოებით
და ორი ვენაზი დაგვიწვეს. და არც მალენ გიორგი
ნოდარიშეილი და იმის შეილები. შაგ სოფელს ლე-
კებს წაეხდენებთო და ახლა ამას გევეღლებით რაც
ჩვენთვის გიბოძებიათ გაგვირჩიეთ. რაც იმათთვის
გიბოძებიათ იმათ უბოძეთ. ხომ მოგვინებათ სახა-
რია ის მამული მაგათაც თქვენ უბოძეთ და მეც
ახლა ნება თქვენია. რაც თქვენი ნება ახლავე გვი-
ბოძეთ რახან გვემუქრებიან. ციხეს გაფაკეთებთ და
ლეთით ეგება ეელარ დაატყევონ ის სოფელი ღმერთი
გაგიმარჯვებს ამ შეფარგვისა და შეწუხებას მოგვარი-
ნეთ. იანერის 18 ქ—ს უპა.

ქ. უფალნო კახეთის მსაჯულნო და მდივნებო
მერე ქვაურილში უნდა გახვიდეთ და რაც მამული
ჩვენ ქვაურილთათვის მიგვეცეს ის კარგად რიგინად
უნდა გასინჯოთ და იმ ჩვენს ნაბოძებს ალაგში მიჯ-
ნები ჩაყრიოთ და რიგიანად გააშევლოთ ნოდარიანი
და ეს ქვაურილელნი. თუ კიდევ ჩვენთან იჩივლეს
თქვენგან გვეწყინება თებერვლის 8 ქლრ—ს უპა.

ქ. ცუადენით ღრმის გონებით გასინჯოთ და კარგათ
რიგიანათ გაარიგოთ.

ბეჭედი ირაკლი მეორისა.

ქ. შათს უმაღლესობას რომ ამ ოქმით ჩვენ კა-
ნეთის მოსამართლეთათვის ასე უბრძანებია იოანე
აბაშიძისა და ნოდარის შეილების მიჯნის გარჩევა ჩვენ
ბრძანებისამებრ მიველითო ყოვლად სამღვდელო ნე-
კრესელიც იქ მივიუვანეთ და ნეკრესელმა ფიცით
ბრძანა და გაიარა ამ აღვილამდის ბატონშა უბოძა
და ამას იქით მე მოუმატეო სიდამონის შეილის ვენაზი
რომ არის თავს იმის ყორერასაც ჩაიტანს მზის ამოსე-
ლისკენ დაბლა ქულურამდის (ქედურამდი?) ის დავ-
ნებეთ და გაუმიჯნეთ და მიეაბარეთ ქეშიჩიბაშის იო-
ანებს და თავს დაობდენ კიდევ ენისელთ მოურავიანთ
ჩამულებამდის იქაც არი პატარა მუხა დგას იქაც
მიჯნა ჩაუსეიოთ და ისე გადასწეროვ ჩელთამდის (?)
გაუმიჯნეთ და ქეშიჩიბაში ამბობდა ჭინჭრიანის საყ-
დარი რომ არის იქამდის ჩვენ გვიბოძა ბატონშია
იმის ჩვენ არა გავირიგებია რა ბატონისა არის ამ
გარიგებაში ყოვლად სამღვდელო ნეკრესელიც იქ
ბრძანდებოდა და სადაც ნეკრესელმა გაიარა იქ გავ-
მიჯნეთ მარტს ქლ ქორონიკონს უპა. ოთხი მსაჯუ-
ლის ბეჭედია.

ქ. ჩვენი ბძანება არის ქეშიჩიბაში იოანნე.
მერე როგორც პირველათ შენც კაცი შემოგაწეროთ.
ახლავ საჩქაროთ დამდევრულათ უნდა მომიუვანოთ
და ამ თვის ლ ჩვენთან გამაცხადო ჩვენი შეილი
იულონ გაეისტურეთ და ჩვენ თქვენი მოლოდინი
გვაქს, რასაც წამის ჩამოხეალთ ლეთით ჩვენც წავალთ.
რომელიც კაცი იმ პირველის სიიდამ დაგვაკლდება
თავადი აზნაური და გლეხი კაცი არც სასიცელილოთ
დავინდობთ. არც ასაკლებათ. და არც გასახეიბრებ-
ლათ შეეიძრალებთ უკელანი სწორეთ ჩამოდით. და
სიმართლით მოიქეცით თორებ ლეთის გულის წყრომა
შემონდგა თქვენზედა ასე იცოდეთ იცლისის პზ
ქორონიკონს უპა.

ბეჭედი ირაკლი მეორისა.

(უმდეგი იქნება)

საისტორიო მასალა.

ბ) ქუთათელნი.

(387—1851 წ.)

(გაგრძელება *)

«...მეფების ბაგრატ (380—1014 წ.) აღაშენა აჭა (ქუთათელნი) უოგლად წმიდასა ეკკლესია შექნიერი, გუნდათანი, სრულიად სოფლის გენტით შინაგან ქმნელი და მარმარილოთა სპეციალის, წითლითა და ჭრელითა და სეეტებითა მისითავე და ურკელთა შემკლაილებითა სრული, და ფრიად დიდი დასხვა ეპისკოპოსი მწვევისი იმპერიისა და გურიისა, თვითი რაჭა-ლეჩებუმისა»... გეოგრ. გასუშტ. 371 გვ.

«...უამსა ბაგრატიონთასა, გინიადგან დასთ-იმერთა იუო დადგმო გვარგვინისა, ქართლისა და აფხაზთა ქათალიკუნი აკურთხევდენ მეფეთა, არამედ გვირგვინისა, დადგმიდა ქუთათელი მეფეთა ქუთათელის ტახტისათვისა. კ. ე. ისტ. 11 გვ.

ილარიონ 1020—1043 წ. ესე მიეგბა ათონის მთიდამ მომავალს გორგი მთაწმიდელს და ქართლის მიჯნამდინ გააცილა.

სამოელ 1044—1072 წ.

ანტონ 1175—1221 წ. საღირის ქ. მეფედ ცხებულს თამარ დედოფლს (1184 წ.) ამან ანტონ მიართგა გვირგვინი. ქ. ცხ. 278 გვ.

მანოელ 1431—1464 წ.

გერასიმე 1489—1529 წ. ბატონიშვილი იმპერატორის მიადგალა 10 ანგარს 1529 წ. ქ. ცხ. 271 გვ.

სეიმონ 1529—1573 წ. მმისწული გერასიმეი ეჭრითხა ბიჭვინტაში ქათალიკუნის მაღაჭა ახაშიძისაგან 1528 წ. ქ. ცხ. 271 გვ.

ბასილი 1574—1619 წ.

თეოფილე (?) მთ. ეპ. გურიელის ქ. **); შემცვა გრიგორისაგან ნათარგმნი «გრიგოლ ლიონ-შეტებულისა».

*) იხ. «მწევმისი»-ს № 15—16.

**) დაბეჭიონებით არა სჩანს, რა დროს იყო ქუთათელად.

სეიმონ «1620—1659 წ. შემდეგ ქათალიკუნი ახაზუთისა. მმა სექნია ჩსეიძისა. დიდი გავლენის მექონე სამეფოში.

დავით 1650—1661 წ. ესე უმასშინმდლდება რეგისტრის დესპანთა ქუთათელნი.

იოსებ 1662—1672 წ. ამის თხოვნით ეკურთხა სასკოლენიანი არჩილ გასტანგის ქ. მეფედ იმპერატორის 1662 წ.

სეიმონ 1673—1698 წ. სექნია ჩსეიძის ქ. «იუგანიდებული გარნა თუ იურ მდგდელ-მთავარი, არამედ ტუკის მეფიდებული, მექა-მერიუშე, კაცის მეტელი, ცრუ-ფიც, ურინავ ულაცავი, კათარცა იულანე განდგიმილი... ამან სკომინმა და ნაბერძლება გორგი ამაშემ შირის-პირს მისცეს 1687 წ. და წინააღმდეგნენ არჩილის კელავ გამეფებასა — იმერთელი. იხ. ქ. ცხ. 212 გვ.

მაქსიმე მთ. ე., 1699—1737 წ. იაშვილი.

ტიმოთე 1738—1752 წ. გაბაშვილი. შემდეგ ტიმოთეელი. იურ აღზრდილი ბესარიონ ქათალიკუნისა (არბელიანისა) 1738 წ. იურ დესპანად რეგისტრის იმპერატორიცა ახან თანხმიდებულისათან იმპერატორის მეფის ალექსანდრესაგან წარგზავნილი. მთსული სამშობლოში გადაუკანილ იქმნა ტიმოთეელი. ამან შეთხზა წიგნი „მარწუხა“ დასამსხმელელი დათანთა მოძღვრებისა. 1755 წ. ქათარცა ანტონ ქათალიკუნის თანამოაზრებმ, დაუტემა სამშობლო და იწერ მთხილვა წმ. ადგილთა. აღწერა თვისი მთგზაურობა და დაუტემა მთამოავლისასა. იგი დაიძებდა 1852 წ. შ. იოსებიანისაგან. მთგზაურობის მთხილვა 1757 წ. რაოდენიმე ხსნა იცხვორა დავით გარებულის უდინოსობი; შემდეგ წარგვადა რეგისტრი და მიარცა ასტრისანში 1764 წ. იულისში.

მაქსიმე 1753—1775 წ. იაშვილე. შემდეგ ქათალიკუნისათვისა. იხ. ქათალიკუნისათვის სიაში «მწევმისი» № 11, 1892 წ.

ღოსითეონ 1776—1821 წ. გიორგი წერეთელი. ეფთვამე გერათელთან და სხ. ესე დოსითეონს მოგიდა ტიმოთეები 1489 წ. და ითხოვდა იმპერატორთა ერთ სამეფოდ შეერთებასა, მქასიმე ქათალიკუნის შემდეგ, ქ. ი. 1485 წლიდან განიგებდა საქათალიკუნო საყდარება. უგანასენელ შეებოძოლა თეოფილესტეს და ტანჟე-გებაში აღსრულდა. გუდქარი 154 გვ.

დაეით 1819—1851 წ. წერეთელი. წინად შემოქმედელი. განაგებდა ჯრუჭის მონასტერისაც. სოფორი ხევირწმიდელის შეძებ, კ. ა. 18844 წლიდან განაგებდა მაჟრეთის კვებელისას. იყო დიდი ერთგული რესტა. ის. კრცელი წერილები «მწერმები» 1892 წ.

დაეთმო 1853—1856 წ. გვიანებ წერუჭის მაცივალა 4 აპრილს 1856 წ. წინად ჯუმათელი.

გ) გენათელი.

(1529—1821 წ.)

ჩანაა 1470—1505 წ. არხიმანდრისტი.

ილარიონ 1505—1519 წ. მოძღვართ-მთამდევრი, არხიმანდრისტი. 1519 წ. 6 მაისს მიაცვალა გორის ჯვარში და აქედან წასკენეს გეღათში.

მელქისედევ 1519—1529 წ. საუკარელი.

სოფორი 1529—1544. ბაგრატ მეფები დაისთმერი სამ საეპისკოპოსოდ გაჲურ და გენათლიბა ამას მისცა. მელქისედევი არხიმანდრისტი დარჩა. ეს სოფორი თანაუკოფელდა დედოფლისას. ქ-ცხ. 271 გვ.

მელქისედევ 1545—1591 წ. ბატონიშვილი, ბაგრატის ძე.

სიმეონ 1591—1603.

ანტონ 1604—1642 წ. წინად მაწყერელი.

ზაქარია 1643—1657 წ. ქარიანი. ეს აუკოთხა არხაზეთის გათლივობას მაქსიმე მაჭუტაშე 1653 წ. ივნისში.

აბრამ 1658—1668 წ. დამსწრე არხიმანის მეფები კურთხევისას ქუთაისში.

გედეონ 1669—1624 წ. კვიანებ ამას თხოვნით გაანთავისუფლა ბაგრატ მეფებ დეკან და დიაკონი. გედეონი წარგზავნილ იქმნა მეფე ბაგრატისა—გან მოსკოვში დესპანად ოქმით რუსეთის მეფეთან 1669 წ. ამ დროს აქ იყო ბატონიშვილი ნიკოლოზ (ნიზარალისანი), მომსრუ ბაგრატის დედინაცელისა და რეფანისა (დედიდისა, თუ მამიდის), ანუ მოწინააღმდე-

გა ბაგრატისა და მისი დესპანის გედეონისა. ამას ჭირობებს გათაცება ბაგრატის და დარეფანის შორის, და სრული სამართლე უბიშო რესთ მთავრობასა, კ. ა. უმანეკოება თავალ-დამწერის ბაგრატისა და ბორიტება დარეფანისა, მეფე ალექსანდრეს ქვეივისა. ამისათვის ნიკოლოზით გადაეკიდა გედეონის და იმდენი ასეზდა რესერის მთავრობასთან, რომ გედეონი დააბატიმებინა 1672 წ. დეკემბერში კრისტეს მონასტერში, სადაც ვ წერიანი იტანჯებოდა საცოდვი. მხოლოდ დედოფლის ელენეს (ნიკოლოზის დედის) თხოვნით განთავისუფლეს გედეონი 1676 წ. სეკტემბერში და მობრუნდა სამშობლოში. გედეონის დესპანისას შესასრულებლად ბაგრატისა თან დადევნა ეკლესის ჭერნიდელი. ის. ცერე. LXV, LXVI, LIX გვ.

ნიკოლაობ 1695—1720 წ. მომსრუ კახტანგ VI და მისი ლავახისა.

გედეონ 1721—1725 წ. მმა რაჭის ერისთავის შოშირასი; ამ გედეონის ეპისტა ლორიბის ჯვარის ციხე.

გაბრიელ 1726—1740 წ. დადიანი. წინად ჯუმათელი; ამის შემდგაბ კა ჭერნიდელი.

ეფთვიმე 1741—1744 წ. შარვაშიძე.

იოსებ 1712—1772 წ. ამ მეფის სოლომონ I, ერთ სისხლი ირაკლი II დას ანასა, დიმიტრი თავის დაბატის მეუღლისა.

ეფთვიმე 1773—1822 წ. ძე რაჭის ერისთავის რესტომისა. ეს ეფთვიმე მოგიადა სხ. თან 1789 წ. ტევილისს და თხოვგა ირაკლიანის იმერა-მერთა შეკრთხებასა. უკანასკნელ შეიქმნა მსხვერპლი თეოფილაქტეს მმდავრებისა და ტევერისაში აღსრულდა დადის ტანკვის შემდეგ.

ზაქარია 1809 წ. არხიმანდრისტი, მიქაელ, მმა ამბოხის ნეკრესელისა და სიღნის დეკანის იოანე ლავახმისა. აღმეგებდი საგებლესით წიგნია ქუთაისში მეფის სოლომონ II ბრძნებით. იყო წინამმღვრად გეღათის მონასტრისა.

3. ცხვილოელი.

ძაღლის—ძაღლის—დარღვევების სახი

ზორბეგი ძაღლის—დარღვევების სახი

ორიველია მიოსან.

რამ დაგაბლუა, ბულბულო!
რად არ გვიგალობ დღესაო?
გვითხარ, რა წაგკიდებია,
რისგან მოგსვლია ესაო.

გაზაფხულისა მომლერალს
რად ჩაგიგდია ენაო?!
რატომ აღარ სტყენ ტყბილს ჰანგებს,
რომ მით დაგვიტყბო სმენაო.

ნუ გეშინიან, მეოსანო!
ველარას იზამს მარტიო,
აპრილ-მაისი კარს ურეკს
უნდა აიკრას ბარგიო.

მომართე შენი ჰაჩმონი,
დამლერე გემოენურადო,
და მიაყარე ქვა-გუნდა
მიმავალს შენებურადო...

ქაიხოსრო გელოვანი.

როდის აჯობებს მას სინიდისი,
როდის უარეცოფთ გაუტანლობას?
როს შევითეისებთ, ერთობას—ძმობას
და სულს ჩაუდგამთ მაცხოვრის მუნებას?

როდის ვიქნებით გულით მართალი,
სულით მაღალი, და გონიერნი;
როდის შევიძენთ უმაღლესს სწავლას
და შევიქნებით ჩცენ ც ბელნიერნი?

როდის შევიგნებთ, რომ მოძმის მტრობა
ჩვენივე არის თვით დამღუპველი?
როდის მიეხვდებით, რომ ამას გვემოძლერის,
გოლგოთას ჯვარით, ნაზარეველი...

ქაიხოსრო გელოვანი.

პ ლ ე ბ ი.

მან უნდა ჰეკიცხოს ქვეუნია
სიცუდე, უწესობანი
და გაამტკიცოს ხალხშია
წმიდა, მადალი გრძნობანი,
იტიროს მწარე ცრემლითა
უსამართლობა სოფლისა,
მოძმისა დაქვეითება,
დაცემა მხარის მშობლისა,
ციური შვება—ნუგეში
მოჭოინოს ბედით ჩაგრულსა,
ქება-ქებათას უძღვნილეს
სიმართლისათვის ჯვარცმულსა,
ბოროტის მონებს ჰერიდავდეს,
ეშმაკის მოციქულებსა,
ხალხს მუდამ უქადაგებდეს
უმაღლესს იდეალებსა.
ის უნდა ხალხს წინ წაუძლვეს
მისის ხმით ადელვებულსა,
რომ მის დროშის ქვეშ ეომოს
მხნედ ბოროტის დღეს თავ-გასულსა.
გან უნდა მტირალს მოძმებს
უძლეროს ტებილი ხმანია.

და და: ვიწყოს წუთს მაინც
ამ სოფლის ვაებანია.

მან უნდა ჰქიცხოს სოფლისა
სიცუდე, უწესობანი
და გაამტკიცოს ჩაღაპშია
წმინდა, მაღალი გრძნობანი.

— ღლ. ფერაძე.

ახალი აშენები და შენიშვნები.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ნოემბრის 25, 26, 27 და 28 რიცხვებში კრება ჰქონდათ ქ-
ქუთაისში იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუ-
ტატებს. კრებას უნდა განეხილა შემდეგი საგნები:

1) იმერეთის სამღვდელოების ექიმიტალური
კასის წესდება და მისი მიღება. შემდეგ ხანგრძლივის
ბასისა დეპუტატებ შორის, ხსენებული წესდება მი-
ღებულ იქმნა ზოგიერთი მუხლების შესწორებით.

2) წარსული წლის ხარჯთა-აღრიცხვის განხილვა
და დამტკიცება. კრებამ განიხილა ეს ანგარიში და
დამტკიცია.

3) მომავალი 1893 წლის ხარჯთა-აღრიცხვა და
დამტკიცება. ამ ხარჯთა-აღრიცხვით სამღვდელოები-
საგან თხოვებოდა 20,000 მანეთა მდე. ამისათვის
სამღვდელოებას სჭირდებოდა ახალი ხარჯის გაწერა,
სხვათა შორის, პანსიონის შესანახადაც. ამ მომე-
ტებულმა ხარჯმა გამოიწია კრებაში დიდი ბაასი და
დეპუტატებმა დაადგინ ეს პანსიონის დახურვა იმ პი-
რობით, რომ თითოეულ პანსიონერს დაენიშნოს
თვეები თითო თუმანი კერძო ბინაზე საცხოვრებლად.

4) სასწავლებლის ექიმისათვის ჯამაგირის მომა-
ტება. კრებამ მიიღო სახეში ბ. ექიმის ერთგული და
თავდაცებული სამსახური და წლიურ ჯამიგირზე მო-
უმატა წელიწადში 100 პ.

ამასთან სამღვდელოების კრებამ დაადგინა, რომ
სასწავლებელში დღეონდელზე მეტი უურალება ექვე-
ს მიქცეული ქართული საეკკლესია წიგნების კითხვის
და გალობის შესწავლას. საზოგადოდ ეს კრება სე-
მინარიელი დეპუტატებით საყურალებოა, ამისათვის
დაწელილებით ცნობებს მასზე მკათხველებს ვაცნო-
ბებთ შემდეგს ნომერში.

— ღლ.

მათი მაღალ ყოვლად უსამღვდელოებობა სა-
ქართველოს ახალი ექიმობრივი კოდეტის 29 ნოემ-
ბრის მობრძანდა თბილისში. პირველად მათი მეუფება
შებრძანდა ქაშუეთის ეკვლესიში და იქიდან შე-
მოსილი სამღვდელოებითურთ და მრავალი ხალხის
ოანადასწრებით წაბრძანდა სიონში. აქ მათ მეუფებას
მიეგება ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი ალექსანდ-
რე. მცირე პარაკლისის შესრულების შემდეგ მისმა
მაღალ ყოვლად უსამღვდელოებობა ექსარხოსმა
ვლადიმირმა წარმოასთევა სიტყვა. ამ სიტყვას შემდეგ
ნომერში დავხეკლავთ.

**

წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობისაგან
მეხუთე კრება შესდგა 21 ნოემბერს. კრების განსა-
ხილველ კითხვებს შეიცავდა შემდეგი: მიღება ახალი
წევრებისა, დანიშნუნა „სარეკიზო კომისიის“ და
არჩევა მმართველისა. დღემდის ამხანაგობის მმართ-
ველად იმყოფებოდა ბ. ალ. გარსევანაშვილი, მაგრამ
ის ამ უკანასკნელ ხანებში გადაცენილ იქმნა ქუთა-
ისის სათავად-აზნაურო, სასწავლებლიდებან თბილისის
სათავად-აზნაურო სასწავლებელში მასწავლებლად და
ამ გარემოების მიხედვით საჭირო შეიქნა სელმეორედ
არჩევა მმართველისა, რომლის თანამდებობა კრებამ
ერთხმივ მიინდო ბ. ნ. ალექსანდრე ნანეიშვილს. «სა-
რეკიზით კომისიის» წევრებად აირჩიეს: კირილე
ლორთქიფანიდე, ილარიონ მიქელაძე და ონიშობე
სეანაძე. ამხანაგობის წრეში ჩაეწერენ 30 ახალი
წევრნ.

**

აგრ ისრი წელიწადი იქნება, რაც ერთი
ყმაწვილი ილიკო ხეთერელი მრავალ ქართულ
წიგნებს და გაზეთებს აერცელებს დატარებით.
აღნიშნულმა პირმა ამ დაუებში დაარსა კუპრი ა
წიგნის მაღაზია ქუთაისის რკინის გზის სადგურთან,
საღაც ისყიდება ქართველთა ყველა მწერლების
თბილებანი. ეს სასარგებლო საქმე მით უფრო
სასიხარულოა, რომ ბ-ნი ხეთერელი მეტი-მეტ
უნარს იჩენს წიგნების გავრცელების საქმეში და
მასთან სრულებით არა ჰგავს იმ ზოგიერთ წიგნთა
მაღაზიების პატრონებს, რომელნიც ხშირად სარგებ-
ლოებენ «კამისიონერული» ნდობით და შემდეგ
წიგნების გაყიდვისა არა თუ 15% და 20%
იტოვებენ ჯილდოდ, არამედ 100%.

**

«ივერია»-ს სწერენ კავკაციდგან, რომ 11 ნოემბრის, დღის 10 $\frac{1}{2}$, მიპრანდა თბილისიდგან მისი შალალ ყოვლად უსამღვდელოესობა მიტროპოლიტი პეტერბურგისა და ლადოვისა პალლატი. რკინის გზის სადგურზედ მიეგება ქალაქის მოურავი, რომელმაც პურ-მარილი მიართეა; მიეგება ავრეთვე მთელის კავკაცის სამღვდელოება და დეპუტატი კავკაცის ქართველთაგან, რომელმაც მიართეა ივერიის ლეთის-შობლის ხატი შემდეგის ზედ-წარწერით:

„Высокопреосвященнейшему Митрополиту Палладию въ память мудраго управления грузинскою церковью отъ благодарныхъ грузинъ Владикавказскаго грузинскаго общества. 1892 года, Ноября 11-го дня“. ხატის მირთმევის დროს დეკანობმა იოილ სამდაბულმა ქართველების მხრით შესაფერი სიტყვა უთხრა და დაწერილებით ანუსხა მიტროპოლიტის ხაქართველოში მოქმედება: მიტროპოლიტი ძლიერ მაღლიერი დარჩა და მაღლობის შემტევე მიუბრუნდა თერგის ოლქის უფროსს ერერალ კახანოეს და უთხრა: «თბილისის თავად-აზნაურობამ ხახუჭრად მომართეა ალბომი მშენიერის ყდით საქართველოს ძელ ტაძართა ფოტოგრაფიის სურათებით. სახოგადოდ ქართველობა დიდად მომწონს და ძლიერ მაღლიერი ვარ ქართველებისა. იმავე დღეს, 10 $\frac{1}{2}$ საათზედ, მიტროპოლიტი პეტერბურგისაკენ გაემგზავრა.

* *

მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, პეტერბურგის მიტროპოლიტმა პალლატიმ, სხეათა კუთილ საქმეთა შორის, წასელის წინა დღეს ერთი სამადლო საქმეც მოიქმედა: წელს სასულიერო სემინარიაში კურსი გაათავა სამაგალითოდ ვითრგი გამრეკელმა! მას სურვილი ჰქონდა განეგრძო მაღალ სასწავლებლში სწავლა, მაგრამ შეუძლებლობით ვერ მოახერხა. მიტროპოლიტმა პალლატიმ გამრეკელი მიიღო თავის სტრინგისატად პეტერბურგის აკადემიაში.

* *

პარასკევა, 20 ნოემბერს, ქართლ-კახეთ-იმერეთის სასინოდი კანტორაში ეიღაცას კასსა გაუტეხია და 3,000 მანათი ფული მოუპარავს. ყუთში ფასიანი ქადალდებიცა ყოვილა, მაგრამ ქურდს ხელი არ წირა ტრაპეზის შესამოსი ფარჩა, ღირებული 19 გ. უხლია. ეჭვი კანტორის ერთს მოსამსახურზედ მიუტანიათ, რომელც იმ ღამეს დარჯობდა და მოორ

დღეს კი სადღაც გამქრალა. პოლიციამ ამ საქმის შესახებ ოქმი შეადგინა და გამომძიებელს გადასცა. („ივერია“).

* *

«ივერიიდამ» ვრცელბილობთ, რომ ბატ. ილია ჭავჭავაძეს «ივერიის» რედაქტორისათვის 3 მანეთი გაუგზავნია ბ. ქორდანის წიგნის დასაკვეთად...

* *

გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ 6-სე წე-რი 『ჯეჯილისა』. აი შინაარსი ამ ნომრისა: პატია ლექსი—ზეზესი; პატარა დიაკონი—თ. ხუსივაძისა; არწივი და უვავი—ლექსი თეოფ. კანდელაკისა; თამ-როს ზევედრა—ეკ. გაბაშვილისა; დედის სიყვარული—ან. თ.—წ.; ტებილი და მწარე—ლექსი აკაკისა; გარიელა—თამარ დელოფლის ლეგენდა; თ. რაზი-კაშილისა; ხამთარი—ლექსი შ. მღვიმელისა; უეფ-ხის ტყაოსნი, დასასრული—გ. იოსელიანისა; ხალ-ხური ლექსები; მამაცი ზღარბი—ინ. გრიგორიანისა; ჩევნი ქელი გმირები—გ. წერეთლისა; სამყარო—დასასრული—ერ. ბაქრაძისა; ფულეცობა თამაშობა; ობლები—ა. თ.—წ.; ანდაზები გამოცანები, ჩქარა გამოსათქმელი, ზმნა, უცნაური გამოცანა, შარალა და რებუსი.

* *

დაგვით ადგი შენებელის ბეგლის დასადგმელად და სამღლებელის განსაახლებლად და წმ. მოწამეთა დაგვით და კოსტანტინების გუბას მოსაპატებელად ნოემბრის თევზი ჩევნ მივიღეთ თბილისში შეკრებილი ფული 214 მან. ამ ფულების ჩევნ გეკონდა 1364 მ. 70 კ. ამ ფულით შესდგა 1576 მ. და 70 კ.

* *

გაზეთში დასაბეჭდად ჩევნ მივიღეთ წერილები შეძლევ პირთაგან:

1) ლაცორის ეკვლესიის მღვდლის ანტონ გელოვანისაგან:

«მ. 4! უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ, რომ თევზის გაზეთის შემწეობით გულითადი მაღალობა გამოუტაცო იმ პირთ, რომელთაც სხვა-და-სხვა საკულტო ნივთები შესწირეს ჩემის თხოვნით ჩემდამო რწმუნებულს წმ. კვირიკის და ივლიტას ეკვლესიას და მასთან გთხოვთ დამიბეჭდოთ შემწირველ პირთა სიაც. თავადმა ერ. გელოვანმა შემოს-ქადალდებიცა ყოვილა, მაგრამ ქურდს ხელი არ წირა ტრაპეზის შესამოსი ფარჩა, ღირებული 19 გ. აპოლონ გელოვანმა 1 რწყვილი შანდლები ტრაპეზედ დასადგმელი, ღირებული 4 მ., გლეხმა

იყანე კირტავამ და მისმა მეუღლაში: ბარძაშ-ფეშეში, კამარა, ვარსკელავი, კუაჭი, ლირ. 40 მ., გლეხშა ყარამან ახვლედიანმა ღვთის-ვშობლის ხატი საჩუ-შიდ ჩამული, ლირ. 4 მ., გლეხშა გოგი ონიანმა მაცხოვრის ხატი, ლირ. 3 მ., გლეხშა ნესტორ ახვ-ლედიანმა 3 მ., გლეხის ქალმა მ.შ.იკაშ თანაარსი, ლირ. 1 მ., გლ. გიგ ახვლედიანმა საცეკლური, ლირ. 4 მ., გლ. დავით ონიანმა ეშახი, ლარ. 5 მ., გაჭარმა ნიკო ლორცულიანმა 4 მ. ზემოხსენებულ პირთ და განსაკუთრებითი ი. კირთავას და მისცეულლას თქვენის განეთის საშუალებით გულითაც მაღლობას ეუძღვი როგორც მე, ისე მთელი ჩემი მრევლი, და იმედი მაქს, რომ ამ ღვთის მოყვარე პართ კიდევ აღმოუჩნდებიან ჩემის თხოვნით სხვა-და-სხვა მიმაძ-ევლი ამა კეთილის შემწირველობისათვის.

2) მღვდლის ფილიმონ ბარბაქაძისაგან:

«უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემული გაზ. მწყემსი»-ს საშუალებით გულითაც მაღლობა გამოუტაღოთ სოფ. საქართვის მცხოვრებელს რკინის გზის მოსამსახურეს იოხებ ბერიას ძე ბარბაქაძეს, რომელმაც რწმუნებულს ჩემდამო საქართვის წმ. გიორგის ეკკლესიის შემოსწირა 1 მაჟედალი სახარება, 3 შანდალი და უსუპა; ესევპი სულ უველა ლარ-ბული 30 მანეთად.

3) მღვდლის იუსტინ ბარბაქაძისაგან:

„მ. რ! ჩემდამი რწმუნებულს ს. საკოპაძეოს წმ. ვიორგის ეკკლესია შემოსწირეს სხვა-და-სხვა საკკლესიო ნიერები შემდეგმა პირებმა: 1) ნიკო და ლუკა გოგორაძებმა თავიანთ გარდა კუალებული მშობლების სახაოერად და მოსახურებლად ხერქებულს ეკკლესის გაუკეთეს სამრეკლო ხისა, რომელიც დაუჯდათ 160 მ.; ნიკო გოგორიძემ და მისმა მეუღლაში კამ მოჭედეს ამ ეკკლესის წმ. გიორგის ხატი. ხატი მოსაჭედად რუსეთში გაგზავნეს. მოჭედა ამ ხატისა დაუჯდათ 102 მ.; 3) როსტორმა გოვორიძემ და მისმა მეუღლაში მართამ იყიდეს ეკკლესიაში ჩამოსაკიდი კანდელი, ღირებული 30 მ. და მშენებრად მაჟე-დილი სახარება, ღირებული 42 მ.; ურელა ამ კეთილ შემოწირველ პირთ გულითად მაღლობას ეუძღვით როგორც მე, ისე მთელი ჩემი მრევლა“.

საეჭვია ქითხების განმარტება.

მამათ რედაქტორ!

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი პატივცემული განხეთის «მწყემსი» ს საშუალებით ვანგვიმარტოთ შემ-დეგი კითხებები:

მიცავალებულის წეს-აგების დროს რომ თრი-სამი ან მეტი მღვდელი იყოს და დაკანი არ ჰყავდეს, მიცავალებულის შეგვიწყალების რომელი მღვდელიც წარმოსივებს, იმავე უნდა სოქებას ასამაღლებელი, თუ მეორე მღვდელმა და რომელმა სახელდღიბიან?

რომელი მღვდელიც იტყვის «შეგვიწყალენ», იმავე უნდა სოქებას ასამაღლებელიც.

იმავე წეს აგებაზედ ასამაღლებელის დროს მიცავალებულს უნდა უკმიოს საცეკლურით მღვდელმა, თუ მარტო ჯვარი გარდასახოს მიცავალებულს?

წესის აგების დროს ვინც იტყვის «შეგვიწყალენ», იმავე უნდა აკმიოს. რაიცა შეეხება ჯვარის დასახვას მღვდლისაგან, ეს სრულებით არ არის კანონიერი

მცირე ათაზმის დროს საჭირო არის თუ არა მცირე ჩამოლოცვა?

ჩამოლოცვა თვითონ კურთხევანში არის და მეტი საჭირო არ არის.

წეს აგების დროს შემდგომად სახარების წაკითხვისა უკეთ დაკანი არ არის, ვინ უნდა სოქებას შეგვიწყალენი ასა-მაღლებელითურთ?

5 08 პირველმა მღვდელმა.

წეს აგებაზედ შემდგომად სახარებისა, საკითხავები „მოვედოთ მოწმენეონ“ ჰერითარი განწყოფა არა „რას ქედ მაღლობაზე“ ჰერივედაგნონ“ და სხვა რომა მღვდელმა უნდა წია-კითხოს, თუ უკეთ ჩამორჩებით, რამდენიც დაესწრებიან მღვ-დლებს წეს აგებაზედ?

ერთი წაიკითხავს, თუ უკეთანი, არცერთით და არც მეორეთი საქმეს არა დაუშავდება-რა.

წირვაზედ ჩამოლოცვის დროს და სხვა საიდუმლოების შესრულებაზედ საჭიროა თუ არა ჯვარი ეპურას მღვდელს ხელში.

როგორიც ჯვარი უნდა გამოსხვენონ ხალხთა სამთხვევად, ხელში უნდა ეპურას იგი მღვდელს და როგორიც ჯვარზედ მთხვევა არ არს, მაშინ ჩამო-ლოცვის დროს ჯვარის აღება არ არს საჭირო.

П С У П Л Е З П У Б

დეკანოზი დავით ღამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, ცენტრალურ და ბ. ხიდიკელის წიგნების მაღაზიებში, ქუთასში — «მწყემსი» ა. რედაქციის სტამბაში და მმ. ჭილაძების და წერეთლის წიგნების მაღაზიებში და ეგარიდაში — თეოთ გამომცემელთან.

- 1) დარიგება საღმრთო სჯულის სრავლებაზე, რომელიც უწმიდესი სინოდი. საგან მოწონებულია როგორც სასწავლო საღმრთო სჯულისა საეკლესიო სამრევლო და სხვა პირველ დასაწყის სკოლებში — ფასი 30 ბ.
- 2) იგივე დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებიდან რუსულს და ქართულს ენაზე 50 ბ.
- 3) სამართველოს სამკლარენი ისტორია ფასი უდით 45 ბ.
- 4) მართული ლოცვანი, თვეთა მეტეველებით, ქორონიკონით და მართლმადიდებელი ეკლ. უმთავრესი დღესასწავლების მოთხოვნით. — ფასი 30 —
- 5) ახალი კარაბაღი, რომელიც განხილული და ნება-დართულია კავკასიის საექიმო რჩევისაგან. — ფასი 1 მან.
- 6) მდგრელთათვის საღუმდოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი — ფასი უდით 30 ბ.
- 7) ახალი სასულინო კონსტიტუციითა წესდებულება. — ფასი უდით 40 ბ.
- 8) მსახიობის ტაბარი და წმიდა ნინო, მართველთ გამანათლები, — ფასი 25 —
- 9) გელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა ეპისტოლების და მონასტერის გელათი 25 —
- 10) მა. მოწამენი დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტერი. — ფასი 5 —
- 11) მიმდინარე მართველ-მთავარი: გასილი იმანანების მოანიშნოს მართველი და მთავარი. — ფასი 5 —
- 12) მიმდინარე უფლისა, სურათით. — ფასი 2 —

- 13) ხარება უცვლად წმიდა ლვის — გვიაბლისა სურათით — ფასი 2 —
- 14) ბზობა სურათით — ფასი 2 —
- 15) აღდგომა სურათით — ფასი 2 —
- 16) კონტორელი კილატეს მეუღლის წერილი 5 —
- 17) თავის მეგობარ მალთან 5 —
- 18) მევე სოლომონ ბრძენი სურათით — ფასი 5 —
- 19) აღწერა მა. მოც. ცოტის დიდი მთავარის ვლადიმერისა ვლადიმერის 2 —
- 20) წმიდა ნინა ქართველთ-განმანათლებელი 2 —
- 21) შიო-მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა დინისის მამისა ჩვენისა შიოსა სურათით — ფასი 5 —
- 22) მიმდინარე უცვლად წმიდა ლვის — გვიაბლისა, სურათით — ფასი 2 —
- 23) ახალლება პატიოსისა და ცხოვრელ მყოფელისა ჯვრისა უცვლისა სურათით 2 —
- 24) ლვის გვიაბლის დაბადება — სურათით 2 —
- 25) ტაძრად მიყვანება ლვის გვიაბლისა 2 —
- 26) მსოფლი სურათით. — ფასი 5 —
- 27) მა. მოწამე რაზენი — სურათით ფასი 5 —
- 28) ისო ძისა ზირამისა სურათით 5 —
- 29) დაწყებითი გაკვეთილები საღმრთო სჯულის სრავლებაზე ფასი 15 —
- 30) ცოცხალთა და გარდაცვალებულთა მოსახლეობის კონდეპ (კავკის ყლოთ) 30 —
- 31) 1892 წ. სასულიერო და საერთ სურათისა კალედონი 20 —
- 32) დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე. — ფასი 10 —
- 33) ანდრია-პირველ წითებული ისტორიული პოემა აკაკისა. — ფასი 5 —

შ ი ნ ა რ ს ი: რედაქციისაგან. — ძვირფასი საჩუქარის მექანიკო-რკოერიონის კ. 3. ჰობელონს ცეკვისაგან «გაბრიელის საქალებო სასწავლებელი». — რამდენად სასარგებლოა მეგრული წაზე ლოტერიატურის შექმნა და თარგმანი სამრინო ლიტერატურისა და ლიტერატურისა, რომლებიც ძველის დროიდგანვე სრულდება სამეცნიეროში ქართულს ენაზე? — პედაგოგიკის ისტორიიდან. — წიგნთ-საცავების საჭიროება. — კადეგ საზოგადოების საზოგადოების კოლეგია შესახებ. — მწერესი. ს კორონესპონდენცია სილნალის გაზირიდამ. — სასატორო მასალა. — ლექსი. — ახალი აშშები და შენიშვნები. — საჭირო კონკრეტულის განმარტება. — განცხადება.